ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №110

ქ. საჩხერე 2023 წელი

ერთი მხრივ, შ.პ.ს."საჩხერის წყალკანალი" (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორი მამუკა მუმლაძის სახით, და მეორე მხრივ, შ.პ.ს „ნოვა" წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ედიშერ ხიმშიაშვილის მინდობილი პირის კორპორატიული გაყიდვების დირექტორის ალდერ ბოლქვაძის (პ/ნ 61009006312) სახით, რომელიც მოქმედებს 2023 წლის 21 მარტის რწმუნებულების/მინდობილობის საფუძველზე (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №230358934; რეგისტრაციის თარიღი: 21.03.2023 წ. სანოტარო მოქმედების ინდ. ნომერი: 37231459926223), (შემდგომში "მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ფორსმაჟორი" - ,,მხარეები" -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა" და/ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს CPV-44600000 კოდით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება - 6 ცალი ცილინდრულ-ჰორიზონტალური ორშრიანი ავზი ლურჯი თეთრი 300ლტ NOVA

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 900.00 (ცხრაასი ლარი და ნული თეთრი) ლარს.

4. საქონლის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი და იტვირთება სასაქონლო ზედნადები.

4.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და სასაქონლო ზედნადების ატვირთვის შემდგომ.

4.3 საქონლის მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.
4.4 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, დ.გურამიშვილის N188
4.5 საქონლის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღე.

5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ერთჯერადად,
ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
გ) პასუხი აგოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობაზე
5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
5.3 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.
5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროს
ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაღვევისათვის

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება, სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.
6.2 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.05%.
6.4 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
7.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

9. სხვა პირობები

9.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
9.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.
9.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 30 იანვრამდე

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
შემსყიდველი: შ.პ.ს."საჩხერის წყალკანალი" მის:ქ.საჩხერე თამარ მეფის ქ.№4 ბანკის კოდი:LBRTGE22 საიდენტიფიკაციო კოდი:239394259 ანგარიშის№ GE09LB0113126701589000 შ.პ.ს."საჩხერის წალკანალი"-ს _____ /მ.მუმლაძე/	შპს "ნოვა" მის.ქ.თბილისი, რ.აგლაძის N45 ბ/კ BAGAGE22 ს/კ: 202358126 ა/ნ GE93BG0000000778114900 ტელ: 2 00 33 33; 598 60 60 79 გენერალური დირექტორი ე.ხიმშიაშვილი **გენერალური დირექტორის ედიშერ ხიმშიაშვილის მინდობილი პირი კორპორატიული გაყიდვების დირექტორი ალდერ ბოლქვაძე (პ/ნ 61009006312) (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №230358934; რეგისტრაციის თარიღი: 21.03.2023 წ. სანოტარო მოქმედების ინდ. ნომერი: 37231459926223)** Digitally signed by: Alder Bolkvadze (61009006312) Certified by Signify

ინტერესთა კონფლიქტის ამსახველი ხელწერილი

ქ.საჩხერე 2023 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერები ვადასტურებთ, რომ შპს „საჩხერის წყალკანალი“-ს მიერ 2023 წლის CPV-44600000 გათვალისწინებულ გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება არ იწვევს ინტერესთა კომფლიქტს.

შ.პ.ს.”საჩხერის წალკანალი”-ს
დირექტორი

მ.მუმლაძე